სამშობლო

ოთხშაბათი

17 თებერვალი

წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., მეოთხე გვერდზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 288 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 288

ტელეფონი № 76.

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრიგ ტკბილია ძმობილთ მიჩვენის ორხავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამშობლო“-ზე

ქ. ქუთაისი. წელიწადი მეორე. ქ. ქუთაისი.

გაზეთი გამოვა

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.

რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.

ივანე ნიკოლოზის ძე ჩხეიძე, მეუღლე მისი ლიზა ზებედის ასული და შვილები მათი: ლუბა, ვლადიმერ, საშა, ნიტუშა და თამარი, მწუხარებით გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 15 თებერვალს ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველთა უსაყვარლესი შვილი და უკანასკნელთა დაუვიწყარი ძმა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფე

კონსტანტინე (კოწია) ივანეს ძე ჩხეიძე.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე, ძველი თბილისის ქუჩ., ლორთქიფანიძის სახლში. გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

47 1—1

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ გავხსენი საագენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოება

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევისაგან. პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყოვნებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღიბულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირის გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქიიხოსრო ჯაფარიძისა.

დოკტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტ-

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს. გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

ექიმი ი. ჩარიძოსი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 5—8 საათ. [illegible] ქ. საკუთარი სახლი. თ.

ექიმი ზ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საქციმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცვლი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინის ქ. [illegible] ქუჩ. ს კუთხ., სახ. № 3. თ.

ელექტრო „**რადიუმი**“ თეატრი

ოთხშაბათიდან, 15 თებერვლიდან ახალი პროგრამა

საუცხოვო კუთხეები ალჟირისა.

ქორწინება მდგომარეობის მიხედვით.

მხიარული კომედია ორ ნაწ. ჰაერმოლმისა და იოჰანსენისა.

ხაშხაშით მთვრალი.

ძლიერი დრამა 7 ნაწილად.

ანონსი: 19 თებერვლიდან ნაჩვენები იქნება **ფრანგთა არტილერია ბრძოლის ველზე** და **პრივალოვის მილიონები.** მეორე სერია მამინ სიბირიაკის ცნობილ რომანიდან, მონაწილეობენ: პუტევო ბროკენსკისა, გარდინისა და კაშევსკისა.

ელექტრო „**ამპირი**“ თეატრი

ოთხშაბათიდან, 15 თებერვლიდან ახალი პროგრამა

შესვლა კონტრამარკით. კომიკური.

უკანონოთ შობილი.

ძლიერი დრამა 4 ნაწილად, მონაწილეობს ცნობილი მსახიობი ქალი

ვ. გ. ორლოვისა.

ანონსი: 19 თებერვლიდან ნაჩვენები იქნება **საფრანგეთის არტილერია ბრძოლის ველზე** და **ეკატერინა თამის მკვლელი.** ვოლკას მხრ ს ბილის ცხოვრებიდან. დრამის სდგამს მხატვარი ა. არკატოვი. **ლამის ზმირი ვაჟადი,** სასაცილო სურათი ძმ. 3 ტესი.

განცხადება.

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ თანახმად 1915 წლის 22 ნოემბრის თარიღით უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა, 1 თებერვლიდან 1916 წლ., ომის დასრულებამდი შემოღებულია ბაჟი თეატრებსა კინემატოგრაფებსა და ყველა გასართობ საღამოზე შესასვლელ ბილეთებზე შემდეგის სახით:

ორი შაურიდან ათ შაურამდე ღირებულ ბილეთებზე—2 შაური; ათი შაურ.—1 მან.—1 აბაზი,

შემოსული ბაჟის $^3/_4$ გადაიდება ხაზინის სასარგებლოთ, ხოლო $^1/_4$ დედოფალ მარიამის უწყებაში მყოფ დაწესებულებათა სასარგებლოთ. ამიტომ ამ ბაჟების მახედვით, 1 თებერვლიდან 1916 წლის ელექტრო-თეატრ „რადიუმსა“ და „ამპირში“ შესასვლელ ბილეთებზე დაწესებული იქნება შემდეგი ფასი: ლოჟა 17 შაური; 1 ადგილი 15 შური; 2 ადგილი 10 შაური; მესამე ადგილი 6 შაური; მოწაფეთათვის მეორე ადგილი 6 შაური; ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 1 აბაზი.

წარმოდგენა № 55, 56, 57, 58.

ქალაქი ქუთაისი. „**ქართული დრამა**“ ქალაქის თეატრი.

ხუთშაბათს, 18 თებერვალს **იაფ-ფასიანი წარმოდგენა.**

მეხამედ ა. შანშიაშვილის პიესა

უგვირგვინო მეფენი.

5 მოქ. **გიორგი სააკაძის** ცხოვრებიდან.

პარასკევს, 19 თებერვალს **იაფ-ფასიანი წარმოდგენა.**

მ ე ო რ ე დ

ბედის ტრიალი.

5 მოქმედებად. „**მოლიპულ გზის**“ ავტორის ჭრისთავ-ხოშტარიასი.

შაბათს, 20 თებერვალს **შალვა დადიანის ბენეფისი.**

ვადაჭრილი მუხა.

4 მ. ვ. შალიკაშვილისა

კვირას, 21 თებერვალს ჩვეულებრივ ფასებში უკანასკნელი **გამოსათხოვარი** წარმოდგენა.

კაბარე—მიმოხილვა.

ბილეთების ფასი ჩვეულებრივი. დასაწყისი საღამოს 8 ს.

რეჟისორი **შ. დადიანი.** ადმინისტრაცია „ქართ. დრამ.“ ამხ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევს 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნ. ცარაძის სახლი № 46

14 ტელეფონი № 87 თ.

უმაღლეს მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 15 თებერვალი. დასავლეთის ასპარეზი. გალიციაში, მდ. დნესტრზე, მიხალჩეს მიდამოებში ზარბაზნის ხანგრძლივი სროლის შემდეგ, მტერმა მოახერხა ერთი სანგრის აღება, მაგრამ სწრაფი კონტრ-იერიშით უკუაგდეს.

რიგის მ დამოებში ცხარე სროლაა ზარბაზნებისა. რუსების ზარბაზნები მარჯვედ მოქმედობენ. მზვერავები ზადესთან, ფრიდრიხშტატის მიდამოებში, ვეტკაცურად თოფის დაუცლელად დაეცნენ გერმანელების სადარაჯოებს და ბევრი დახოცეს. ილუქსტთან მედგარი ბრძოლაა სანგრების ხელში ჩასაგდებად.

კავკასიის ფრონტი.

არზრუმის დაპყრობის შედეგად, რომელმაც ძალიან მკირე მსხვერპლი შეიწირა, რუსებს დავლად დარჩათ სულ 235 ოსმალო ოფიცერი 12,753 ჯარისკაცი, 9 ბაირაღი, 323 ზარბაზანი— ოსმალეთის პირველ ხარისხოვან სიმაგრე—არზრუმის აღების დროს, რუსებმა ხელთ იგდეს დიდი სწყობები იარაღისა, სასროლი მასალისა, სურსათისა, კარვები და სხვ. დამარცხებულ და თავ გზადაბნეულ მტრის დევნას განაგრძობს რუსის ჯარი. არზრუმის დასავლეთით 50 ვერსის მანძილზე ოსმალთა უკან. მავალი ჯარი მოსრნეს ტრაპიზონის გზატკეცილზე. რამდენიმე ტყვედ წამოიყვანეს.

უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში საშინელს ქარბუქს და მკერდამდე თოვლში რუსის ჯარი ფეხდაფეხ დევნის ოსმალებს.

— —

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რამდენი ცეპელინი დაიღუპა.

პარიზიდან იუწყებიან: რევინიეს რაიონში ამას წინად დაიღუპა ერთი ცეპელინი, ახლა კიდევ ტურნეს რაიონში მოისპო ცეპელინი „777“, სულ კი დღემდი მოსპობილია 26 ცეპელინი. რამდენი დარჩა კიდევ გერმანელს საჰაერო ხომალდ-ცეპელინი და კიდევ რამდენს ამზადებენ ან მოამზადებენ, ეს კი არავინ უწყის.

ბალკანეთში.

— კარგა ხანია, რაც მოპირდაპირე ძალთა ყურადღება ბალკანეთში სალონიკისაკენ არის მიმართული, მაგრამ დღემდი გადაჭრით კიდევ არ შეიძლება ითქვას: მოხდება აქ გენერალური ბრძოლა, თუ არა? კოპენჰაგენიდან კი იუწყებიან, რომ საბერძნეთის მთავარმა მინისტრმა სკულუდისმა ჟურნალისტებს განუცხადა: სალონიკზე ავსტრო—გერმანელების მხრით იერიშის მოტანა სულ რამდენიმე დღის კითხვაა. საბერძნეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობა კი ორსავე მხრით არის უზრუნველყოფილი.

— —

— „ბერლინე ტაგებლატის“ ათინელი კორესპონდენტი სწერს: სალონიკში გამაგრებული მოკავშირეები დაიმედებული არიან, რომ გაიმარჯვებენ. რადგან ახლა ბერძნების თანაგრძნობა უფრო ავსტრია-გერმანელებისაკენაა, ამიტომ ისინი ელიან ის გამოიყვანონ და იერიში მოიტანონ სალონიკს; მით უ[illegible] რო, რომ მისლოდინებით [illegible]

ნების განწყობილება სულ შეიცვალოს.

ბუქარესტიდან ცნობაა—ავსტრიის ჯარმა ალბანეთში ადრიატიკის ნაპირი კავაის პუნქტამდე სულ დაიკავა და ახლა იქიდან დურაცოს სამი მხრიდან უკვე ალყა შემოარტყა. ვალონასთან მისი კავშირი შეწყვიტა. ახლა ოფიციალურათაც აცხადებენ. იტალიელები, სტრატეგიული მოსაზრებით, დურაცოდან სულ გავიდნენ.

ამასთან ალბანელთა ყველა ის ჯგუფი, რომელიც ესად ფაშას გადუდგა და მისგან განწყვეტილი იყვნენ, ახლა ავსტრიის ჯარს შეუერთდნენ.

გერმანეთის მუქარა.

გერმანეთმა მართლაც რომ ყოვლისმხრივი, ყველაფრის გამანადგურებელი ჯოჯოხეთური ომი გააჩაღა: როგორც ქვესკნელში და ზესკნელში, ცაში და წყალში, ყველგან დაუზოგავი ბრძოლაა ატეხილი. ყველას ახსოვს ვეება სამგზავრო გემის „ლუზიტანიის" დაღუპვის ამბავი. ტირპიცის ბრძანებისამებრ გერმანიის წყალქვეშ მავალმა ნავებმა მშვიდობიანი მოქალაქე, ამერიკელი მილიარდერიც არ დაინდვეს და ოკეანეს უფსკრულს მისცეს. მას შემდეგ დავა იყო გამართული გერმანიის წინააღმდეგ, რომ მას ხელი აეღო წყალქვეშა ბრძოლაზე; მაგრამ გერმანიამ ამას ყური არ ათხოვა და მან თავისი გზით სვლა განაგრძო. ამ უკანასკნელად სხვას, რომ ვერას გახდენ, ინგლისმა საქვეყნოთ გამოაცხადა, რომ ის ამიერიდან თავის სავაჭრო გემებზე საომარ იარაღს დადგამს და მტერს ამრიგათ გაუმკლავდება.

ინგლისის ასეთმა გადაწყვეტილებამ—განცხადებამ მიზეზი მისცა გერმანიას, რომ მან ამიერიდან თავისი წყალქვეშა ვერაგული ბრძოლა გაამართლოს. გერმანია ახლა უფრო რიხით და აშკარად იმუქრება: რაკი ინგლისმა სავაჭრო გემები სამხედრო იარაღით აღჭურვა და ამით მან სავაჭრო ფლოტი სამხედრო ფლოტად უნდა აქციოს, ამიერიდან გერმანიასაც სრული საბუთი ეძლევა ისე მოეპყრას ამ ვითომდა სავაჭრო გემებს, როგორც სამხედრო ფლოტს. მათ იგი სუბმარინების (წყალქვეშა მავალ ნავები) რაზმებს მიუსევს და ეცდება ყველა ნაფოტებათ აქციოს და ოკეანეს ძირზე სამუდამოდ დამარხოს.

ქრონიკა

რუსეთი.

ს. დ. დასჯა.

კიევიდან იტყობინებიან რომ იქ ამ დღეებში სამხედრო-საოლქო სასამართლომ ექვსი ს. დ. საქმე გაარჩია, რომელთაც პარტიის წევრობას აბრალებდნენ. ყველას კატორღა მიუსაჯეს: ორი წლიდან ექვს წლამდე.

მუშათა სიეზდის მოლოდინში.

ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის მუშათა ჯგუფის მიერ კარგა ხანია აღძრული შუამდგომლობა, რომ მუშათა სიეზდის გამართვის ნება დართონ. ამ დღეებში კომიტეტს უკვე ჰქონდა მსჯელობა ამ საგანზე და მუშათა ჯგუფის წინადადება, რომ მათ ნება მიეცეთ მიმართონ თავის პროვინციელ ამხანაგებს, რათა თავიანთი აზრი გამოთქვან მუშათა სიეზდის შესახებ, თუმცა პრინციპიალურად შესაძლოთ იცნეს, მაგრამ დღევანდელ პირობების მიხედვით ბიურო მუშებს ურჩევს თავი შეიკავონ და პროვინციელ ამხანაგებს აშკარა წინადადებით ნუ მიმართავენ. მანამდე მაინც, ვიდრე სამხედრო სამრეწველო კომიტეტების წარმომადგენელთა სიეზდი მოხდებოდეს (დანიშნულია 26 თებერვლისათვის), ბიუროს დადგენილებით მუშათა ჯგუფის წინადადების მუშათა სიეზდის შესახებ კომიტეტების სიეზდი განიხილავს, სადაც მუშათა პროვინციელი წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

ცენტრალურმა კომიტეტმა აირჩია კომისია, რომელშიაც თავმჯდომარის ამხანაგთან, კონოვალოვთან ერთად მუშათა ჯგუფის თავმჯდომარე გვოზდევიც შედის ამ კომისიას დაევალა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრისაგან ნებართვა გამოითხოვოს, რათა მუშათა რწმუნებულების კრებები პოლიციის დაუსწრებლათ ხდებოდეს.

სათათბიროს გარშემო.

როდესაც ამა თუ იმ სახელმწიფოს ცხოვრებაში კრიტიკული მომენტი დგება —რომელ კრიტიკული მომენტის გადაჭრაც ხალხის სასარგებლოთ მთავრობას თავისი ძალა უფლებითა და ძალღონით არ შეუძლია, იგი ყოველთვის მიმართავს ხოლმე ხალხს და მათის წარმომადგენლების დახმარებით სურს გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოვიდეს. ხალხის წარმომადგენლები მთავრობას ეპირვება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხის სვე-ბედის უკიდურესობამდე მიყვანისათვის პასუხისმგებლობა უნდა აიშოროს თავიდან და ხალხის წარმომადგენლებს მოახვიოს თავზე.

როგორც ომის მიმდინარეობიდან სჩანს მას ჯერ დასასრული არ უჩანს: არც ერთი მოწინააღმდეგე მხარე თავს დამარცხებულათ არ აცხადებს და უფრო მეტი ენერგიით ემზადება ომის გასაგრძელებლათ, მიუხედავათ იმისა, რომ 18 თვის ომის სიხანგრძლივემ ყველა მებრძოლ სახელმწიფოთა ცხოვრება დასცა კულტურულათ, ნივთიერათ და აურაცხელი მსხვერპლი ადამიანისა შეიწირა და არა მარტო მებრძოლ სახელმწიფოებში, თვით ნეიტრალ სახელმწიფოებშიაც ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობა თავის კალაპოტს ააშორა და თავისი მწვავე შედეგი მათ კულტურულ-ეკონომიურ განვითარებასაც დააჩნია.

ომის შედეგების სიმწვავე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით უფრო ნათლათ და აშკარათ ემჩნევა იმ სახელმწიფოს რომლის ეკონომიური, კულტურული და ტეხნიკური განვითარება ვერ იყო სასურველ ნიადაგზე დაყენებული, სადაც ხალხის სწავლა-განათლების საქმე ფართოთ არაა გაშლილი და ვერ გასცილებია ბიუროკრატიულ კედლებს.

რუსეთის მთავრობამ მხოლოდ დღეს შეიგნო, რომ იგი არაა შეიარაღებული იმ ცოდნითა და ტეხნიკური საშუალებით როგორიც მის ძლიერ მოპირდაპირეებს უპყრავთ ხელში და რომ ომის სასურველათ დაბოლოებისათვის არა აკმარა მარტო ადამიანთა მსხვერპლის სიმრავლით შეწირვა, არამედ საჭიროა იმ იარაღთა საშუალებებით შეიარაღება, როგორც მისი მოპირდაპირეა, ამასთან საჭიროა ხალხის ერთსულოვნება, საზოგადოებრივი ძალების შეკავშირება-შემოკრება, რომ ომმა თავის სასურველი შედეგი გამოიღოს რუსეთის ხალხისათვის, რომ იგი რუსეთის ხალხმა თავის ლოღიკურ დასკვნამდე მიიყვანოს.

კერძოთ შიგნით ეკონომიურმა გაუვითარებლობამ, საქონლის გადაზიდვისა და მიწვდის მოუწყობლობამ, სანოვაგის ხელოვნურათ გაძვირებამ, უმუშევრობამ, კოოპერატიული მოძრაობისა და ადგილობრივ თვითმართველობების ინიციატივის შეზღუდვამ რუსეთის ყველა კუთხეში საერთო გაჭირვება გააჩინა და ყველას შიმშილის მწვავე აჩრდილი დაუყენა წინ.

ერთი სიტყვით, ცხოვრებამ ისეთი რთული სახე მიიღო შინ თუ გარეთ, რომ მის მოსაწესრიგებლათ მთავრობა თავის წარმომადგენელ მოხელეებით უძლური შეიქნა და ობიექტიურმა პირობებმა მთავრობას მოსთხოვა საზოგადოებრივი ძალების საქმეში ჩარევა ხალხის წარმომადგენლების სახით.

და აი 9 თებერვალს, უმაღლესი ბრძანებით, თავრიდის სასახლეში უკვე შეიკრიბნენ სათათბიროს დეპუტატები. სახელმწიფო სათათბირო მთავრობის წარმომადგენლებს ტაშის ცემით მიეგება და მოისმინა დეკლარაციები, სადაც მთავრობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ზავი არ შეიკვრება, ვიდრე არ გავიმარჯვებთო და, აღნიშნენ რა მთავრობის სურვილს ხალხთან ერთად მოქმედების შესახებ, გარკვევით არ ლაპარაკობენ იმაზე, თუ რა გზით შეიძლება ამ სურვილის განხორციელება.

მემარჯვენეები ლევაშოვის პირით ომის განგრძობას მოითხოვენ და სურთ ომი ავსტრია—გერმანეთის განადგურებით დასრულდეს, ხოლო რაც შეეხება პასუხისმგებელ სამინისტროს მოთხოვნას ეს ძირითად კანონებს ეწინააღმდეგება და ამაზე ლაპარაკი ზედმეტად მიაჩნია.

თუ ჩვენ რუსეთის მდგომარეობას დავუპირდაპირებთ ომის გამარჯვებისათვის საჭირო პირობების შექმნას, უთუოდ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საზოგადოებრივი ძალების შემოკრება, საზოგადოებრივი ინიციატივის გაფართოება,

რუსეთის შემადგენელ პატარა ერების პოლიტიკურ უფლებათა გაფართოვება, კოოპერაციების გაძლიერება,

და საერთოდ საზოგადოებრივ ძალთა თავისუფალი განვითარება, რაც, რასაკვირველია, წინააღმდეგია ძირითად კანონებისა. და თუ სახელმწიფო სათათბირო ამის მოთხოვნას მტკიცედ დადგება, ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ მისი არსებობა ისეთივე ხანმოკლე იქნება, როგორც ამას განვლილი მაგალითები გვიჩვენებს.

პ—ნი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ორშაბათს, 15 თებერვალს, გუბერნატორის თავმჯდომარეობით, სახაზინო პალატის მართველის პ. ე. პუშკარიოვის, ქალაქის თავის ბ-ნი ი. ჩიქოვანის და ქუთაისის საოლქო სასამართლოს ბრალმდებლის მონაწილეობით მოხდა საგუბერნიო სამოქალაქო საქმეთა საგანგებო კრება; კრებამ გაარჩია შემდეგი საკითხები; ა) ქალ. ფოთის 1916 წლის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც უდრის 617,522 მ. 69 კაპ. ხარჯთაღრიცხვა რამდენიმე შენიშვნითა და შესწორებით დაამტკიცეს. ბ) ფოთის ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომ ქალაქის ტრამვაის მოჯარადრემ ფულის ნაცვლათ წარმოადგინოს გირავნობის ფურცელი, დაადგინეს: დაინიშნოს ახალი შეჯიბრება. და გ) ქალ. ფოთის საბჭოს დადგენილება, რომ ორი დუქანი და ერთი ფურნე მიეცეს იჯარით მომხმარებელ საზოგადოება „ეკონომია"ს უარყვეს.

◆ დ. სიხარის კომიტეტი, რომელსაც ჩვენი სახელოვანი მგოსნის აკაკის პატივსაცემლათ 20 თებერ. უნდა გაემართა საღამო, გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მასზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო, საღამო გადაიდო ექვსი მარტისთვის.

◆ კვირას, 14 თებერვალს, ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის დარბაზში შედგა კავკასიის სავაჭრო სამრეწველო ბანკის ქუთაისის საორგანიზაციო კომიტეტისა და აქციონერთა კრება, რომელსაც უნდა გამოერკვია ბანკის გახსნის ახლანდელი მდგომარეობა. კრებამ დიდი ხნის კამათის შემდეგ გამოარკვია, რომ ახლანდელი გამწვავებული მდგომარეობის გამო ბანკის გახსნა მოუხერხებელია და დაადგინეს ამ საკითხის გადაწყვეტა გადასდვან იმ დრომდის, სანამ ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში არ ჩადგება. როგორც ორატორების კამათიდან გამოირკვა ძირითადი თანხის 40% შეგროვება ახლავე შესაძლებელი ყოფილა. ბევრი ყოფილა აგრეთვე მსურველთაგანი, რომ ახალი აქციები შეიძინონ.

კრებამ 20 თებერვლისათვის მთავარ საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე დასასწრებლათ აირჩია რ. ყ. თათეშიძე, ი. გ. კუმულარია და ვაჭარი ქვეჭნიძე.

◆ იბეჭდება და 20 თებერვალს გამოვა ლიტერატურული ალმანახი „ახალი ცისკარი" მონაწილეობენ ია ეკალაძე, გალაკტიონ ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ი. ყიფიანი, გ. მეკრელიშვილი, ირ-დი, ვ. პითავა, მ. ანაშვილი, სიმ. წველი, პაოლო იაშვილი და ლადო მაჰავარიანი.

ალმანახში მოთავსებული იქნება სურათი შიო მღვიმელისა, და მისი ლიტერატურული მოღვაწეობის მოკლე განხილვა. კრიტიკული წერილი მგოსან გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ კ. მ—ლისა.

◆ ბაზრის ზედამხედველმა ი. გელოვანმა მეხორცეებს ა. გიორგაძეს, ი. ფურცხვანიძეს და კ. წულუკიძეს ოქმი შეუდგინა ხორცის ნიხრ ზევით გაყიდვისათვის.

◆ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის მთავარი რწმუნებული სთხოვს ქუთაისის კომიტეტს გაუგზავნოს მას ადგილობრივი კომიტეტის საისტორიო და სალიტერატურო ანგარიშები.

◆ ქუთაისის ქალაქის საავადმყოფოს გამგე ექიმი ბ-ნი ე. რონდევიჩი სთხოვს ქალაქის გამგეობას დაუყონებლივ მიეცეს საავადმყოფოს ხარჯებისთვის საჭირო თანხა, თორემ საავადმყოფო დიდ კრიტიკულ მდგომარეობაში არისო.

◆ ქუთაისის გუბერნატორი წინადადებას აძლევს ქალაქის გამგეობას დაუყონებლივ მიეცეს 201 პოლკის ჯარის კაცთა ბინის საჭირო ქირა.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საოჯახო კომისიის დადგენილება სანოვაგეზე ნიხრის მომატების შესახებ.

◆ თბილისის პოლიტეხნიკუმის კურსების გამგე ინჟინერი ბ-ნი მ. ნ. ვინოგრადოვი აცნობებს ქუთაისის ქალაქის გამგეობას, რომ მდგომარე წელს ეს კურსები დაასრულა რამდენიმე პირმა და შესაძლებელია ქალაქის გამგეობისათვის საჭირო იყოს ასეთი სპეციალისტებით.

◆ ქუთაისის ქალაქის მესამე პირველ დაწყებითი სკოლის გამგემ წარუდგინა ყველა ხარჯთ-აღრიცხვა რომლის საჭირო არის მდგომარე თებერვლის, თვეში სასწავლებლისთვის სულ ხარჯათ საჭირო არის 242 მან. და 71 კაპ.

◆ 16 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, ქუთაისის ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია საპენსიო სასტატისტიკო კომისიის სხდომა.

◆ ამას წინათ მოხსენებული გვქონდა რომ ქუთაისის ქალაქის საავადმყოფოს ყოფილი გამგე ექიმი ნემსაძე, რომელიც ბრძოლის ველზე იმყოფებოდა, შავი სახადით ავათ გახდა, ამ ჟამათ კი, როგორც გავიგეთ, უკვე გარდაცვლილა.

◆ გამოვიდა და იყიდება ა. ბოგდანოვის ახალი წიგნი საზოგადოებრივი მოძრაობა და ფილოსოფია თარგმანი ქანელისა. გამომცემელი ალ. ცერცვაძისა. წიგნი შინაარსიანია და ღირს სამ შაურად.

◆ ს. ღლიკოლურის მცხოვრებმა გრ. ამ. ცერცვაძემ ქვედა-ილემის ეკლესია გატეხა და ფულის ყუთიდან წაიღო 2 მ. 88 კ. დამნაშავე მოათავსეს ზესტაფონის სატუსაღოში.

სახელმწიფო სათათბირო.

12 თებერვლის სხდომა.

მანკოვი. ციმერვალდის ყრილობა მხოლოდ პატარა ჯგუფის აზრის გამომხატველია, რადგანაც მუშათა კლასის რწმუნებულება არა ჰქონია. ამისათვის ანგარიშის გასაწევი არ არის. მანკოვს მოჰყავს ჩრდილო-საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ფედერაციის დადგენილება, რომელიც ამ კონფერენციის წინააღმდეგ არის მიმართული. დანიის სოც.-დემოკ. პარტიამაც ამ კონფერენციის დადგენილება სავალდებულოდ არ მიიჩნია. მე—როგორც სოციალ-დემოკრატი, დარწმუნებული ჩვენის ქვეყნის თავდაცვისათვის ბრძოლაში, ხაზზე საუბარით ვერ დავიამებ გულს მაშინ, როდესაც გერმანელების ჯარმა ხელთ იგდო რუსეთის მიწა-წყალი და ფიქრობს რუსეთს გულში დასცეს მახვილი მანკოვიც მოუწოდებს დემოკრატიის ეკონომიურ და პოლიტიკურ აღორძინებისათვის თავგამოდებით იბრძოლონ გარეშე მტერთან და შინაურ დაბრკოლებასთან, რაც აფერხებს რუსეთის გამარჯვებას და თავისუფალ ცხოვრებას. (ტაშის ცემა).

მაკოგონი. ხალხი შეგნებულად გადის სამშობლოს დასაცავად, მაგრამ როდესაც უკან დაბრუნდება ყველას ანგარიშს მოგვთხოვს.

იანუშკევიჩი. ლიტველთა სახელით აცხადებს: რუსეთი დიდი ორგანიზმია რომლის ნაწილებსაც პატარა ერები შეადგენენ. უდიდეს განსაცდელის დროს გაერთიანებაა საჭირო. ყოველი მხრიდან გაისმის სიტყვა ეროვნებათა თვითგამორკვევისა. ვინც გულწრფელად ემხრობა ამ აზრს, არც ერთი წუთი არ უნდა დაჰკარგოს ამ საქმის განსახორციელებლად, რადგანაც რაც დაიგვიანდა, სამუდამოდ დაკარგულია. გერმანელები, რაწამს დაიპყრობენ რომელიმე კუთხეს მაშინვე აარსებენ სკოლებს, სწავლას დედა-ენაზე აწარმოებენ, აწყებენ დედა-ენაზე სამართალს და სხვ. რუსეთიც ასე უნდა მოიქცეს. თუ წარმოსადგენია თავისუფალი რუსეთი, უნდა წარმოვიდგინოთ იგი როგორც კავშირი თავისუფალ ეროვნებათა. (მარცხნივ ტაშის ცემა).

მ. ვ. როძიანკო. მარკოვ მე-2-ს ნალაპარაკევს ეხება და აცხადებს: სასროლი მასალის დამამზადებელ ორგანიზაციას არ აღუთქვამს, ვითომც ჯარს თავსაყრელად მიაწვდიან სასროლ მასალას, ზარბაზნებს, თოფებს, ეს არც ამ კომიტეტის საქმეს შეადგენდა. კომიტეტის წყალობით თავდაცვისათვის საჭირო მასალის დამზადებამ 2-დან 5½ ჯერ იმატა.

საზოგადოებრივმა და სამრეწველო ძალებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ და ამას დაეფუძნებს სახელმწიფო (ტაში ცენტრში და მარცხნივ). ამის შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ „მარკოვის [illegible] ერობათა ღვაწლის დაფასება სწორი არის, რუსეთის ერობამ 12 [illegible] მანეთი გაიღო ამ [illegible] თვის და მისი წარმომადგენელნი უანგაროდ ემსახურებიან საერთო საქმეს. მარკოვი გვიწვევს შეთანხმებისათვის, მაგრამ მან ამისთვის ცუდი გზა აირჩია ვინაიდან, არ შეიძლება შეთანხმებისათვის უწოდებდეთ საზოგადოებრივ ძალებს და ამავე დროს შეურაცხყოფით იხსენიებდეთ მათ. მაგრამ მე მზად ვარ ვიწამო შეთანხმების სურვილი, რომელიც მარჯვნით მოგვესმა, მე მოუწოდებ ყველას, რომ მათ იწამონ გულწრფელი ღვაწლი საზოგადოებრივი ელემენტებისა, მხოლოდ მაშინ შეერთდება ეროვნები, ქალაქები და მრეწველობა ერთ მთლიან ძალად, რომელსაც ეწოდება რუსეთი და რომელიც მხოლოდ მაშინ იქნება მრისხანე თავხედი მტრისათვის (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

ნეკრასოვი. აღნიშნავს, რომ მხოლოდ დასავლეთ ფრონტზე ერობათა კავშირს 7 ათასი დაწესებულება აქვს გახსნილი. მხედრობა იცნობს საზოგადოებრივ დაწესებულებათა ღვაწლს და თავგანწირულ შრომას ამიტომ მარკოვი ვერ შესძლებს გასწყვიტოს ის სულიერი კავშირი, რომელიც საზოგადოებრივ ძალთა შორის, რაც შეეხება ანგარიშებს, ისინი მზადდება და როდესაც მოხსენდება სათათბიროს, ყველა დარწმუნდება რომ ერობათა მეურნეობაში ყოველივე წესრიგზე სწარმოებს.

ამის შემდეგ წაკითხულ იქმნა საპასუხო დეპეშები 1) ბალტიის ფლოტის უფროსის—„გთხოვთ გადასცეთ სახელმწიფო სათათბიროს ფლოტის გულწრფელი მადლობა მილოცვისათვის. ჩვენი სამხედრო მოქმედების ქებით მოხსენება ჩვენ ახალ ძალებს შეგვმატებს". 2) შავი ზღვის ფლოტის უფროსის—„შავი ზღვის ფლოტი ღრმა მადლობას მოახსენებს სახელმწიფო სათათბიროს, რომელმაც 9 თებერვლის სადღესასწაულო სხდომაზე ქებით მოიხსენია ხელმწიფე იმპერატორის და სამშობლოსათვის მისი სამსახური". ორივე დეპეშას სათათბირო ტაშით მიეგება. იკითხება საფრანგეთის დეპუტატთა პალატის დეპეშა: „სახელმწიფო სათათბიროს მეშვიდე მოწვევის განახლების გამო იმ აღფრთოვანებით, რომელიც გამოიწვია ხელმწიფის სათათბიროში მობრძანებამ და მიმართვამ, პალატა ხელახლა უცხადებს სათათბიროს თავის მხურვალე სიმპატიებს და მოესალმება კეთილშობილ სიტყვებით, რომელნიც მოწმობენ რუსეთის მთავრობის და ხალხის შეუდრეკელ სურვილს, რომ მათ მთელი ძალა მოახმარონ მტერთან ბრძოლას ევროპაში მშვიდობიანობის „დასამყარებლად" და ამასთანავე მოულოცავს იმ ბრწყინვალე გამარჯვებისთვის, რომელიც გადიხადა სახელოვან მოკავშირეთა მხედრობამ არზრუმის ციხესთან".

დეპეშის წაკითხვას სათათბირო შეხვდა ტაშის ცემით და ძახილით—„გაუმარჯოს საფრანგეთს". დაადგინეს გაეგზავნოს [illegible] საპასუხო დეპეშა.

პატარა ფელეტონი.

დათვი.

...ჩვენებიანთ ნენეს სიმინდს დათვი მოსჩვეოდა. დათვი—პირმყრალი, საზიზღარი! სიბერისაგან თვალები დაღრე[illegible]ზოდა, ტუჩები დაჩაჩვრებოდა, პირზე [illegible]რბილი ადგებოდა.

შუაღამისას, იმ დროს, როდესაც მთვ[illegible] ნისლი ჩამოწვებოდა ხოლმე ხევ—ხე[illegible] და ალ-ქაჯები გრძნეულსავით დაიკლაკ[illegible]ბდნენ დაბურულ ტყეში,—კუდა დათვი გამოდიოდა ბუნაგიდან და ზლაზვნით [illegible] სწევდა ხოლმე ნენეს სიმინდისაკენ…

ნენეს ყანა იქვე მთის ფერდობზე [illegible] ოდესღაც ნენეს შვილებს გაეჩეხათ [illegible] მალა, ახო გაეკეთებინათ. ეს ახო—[illegible] იყო ნენეს უკანასკნელი ნუგეში. [illegible] ობრად დარჩენილი ნენე სიბერის[illegible] პილი ყვავილით ხაოდა. ცას ამარა [illegible] ხელ-გაწვდილი დადიოდა, ბრალიანსა [illegible] უბრალოს მოწყალებისა სთხოვდა.

— ხომ იცით ერთ დროს როგორ ტურფა და ლამაზი ვიყავი. თვალ[illegible] ვაბელდი ხოლმე, ცა შურით [illegible] ხმას რომ ამოვიღებდი—ბულბულ[illegible] ყურს მიგდებდნენო,—იტყოდა ხოლმე ნენე.

— მკვებარა დედაბერი!.. ამბობდნენ [illegible] ზოლიები და, შვილის მაგიერ, ზედ [illegible] ათხებდნენ. ნენე კი მაინც [illegible]

ჩაეწურებოდა. ასეა, დაოხნებული ადამიანი ყველას ემონება.

ნენე კი, დიდი ხანია, დაძაბუნდა, დიდი ხანია, თავანკარი ჭკუა დაჰკარგა. ერთთა სვლამ შავი სიკვდილი მიუჩინა ნენეს ოჯახს და მისი ხუთი შვილი მოაცელვინა, ერთად ერთი შვილი-ღა დარჩა და ისიც დაეკარგა: ვიღაცა ქალი შეიყვარა და ცხრა-მთას იქით გადაილუპა. ამბობენ: ბედნიერად სცხოვრობს, გამდიდრდა, გადიდკაცდა, ნენეს დედობა ეთაკილება. ქვეყანა რას არ იტყვის?!..

დაიბერა, დაძაბუნდა ნენე. ვარამი გულში დაიგუბა, შავი ფიქრები გადაიბირა და მოკრუნჩხული მთელი დღე გოგმანებით ედო ხოლმე თავის ძირ გამონგრეულ ქოხის დირეფანში და თვალცრემლიანი ფერდობზე მომღერალ სიმინდის ყანას გასცქეროდა.

ვით აბრეშუმის მწვანე ბალდადი, ვით სპეტაკ ფანდაზი და ზურმუხტებით მოქარგული საქედლოფლო საბანი გადაშლილიყო მთის კალთაზე სიმინდის ყანა და ადამიანის პირნახული მღეროდა, შრიალებდა დაუსრულებლად. ამ ყანას სამივ მხრივ ტყე ეკრა, ძირს კი ხევი ჩაუდიოდა. საღამო ჟამს,—იმ დროს, როდესაც დასაძინებლად მომზადებული მზე მედიდურად შემოდგებოდა ხოლმე მთის მწვერვალზე და უკანასკნელად წამოიკრეფდა ოქროს მანტიის კალთებს და ბურანში წასული მთის იქით ეშვებოდა, ნენეს ყანა საოცნებო სანახავი იყო!..—ბუმბერაზ ხეების ჩრდილი საბნად ეხურებოდა ყანას, ხევს ხვავილი ნანას უმღერდა და ძალად ტან-აყრილი სიმინდიც თრთოდა, ცახცახებდა, ზღვასავით ღელავდა, ნენეს ყანა გულ-წარმტაცი იყო, როგორც ოცნება და მორცხვი, როგორც პირველით გაშიშვლებული კეკლუცი!..

— რა ყანაა... რა მშვენიაა! შურით იძახდნენ მეზობლები და სვავებივით თავს დასტრიალებდენ.

— ნეტა როდის ჩაძაღლდები, ნენე! ეს ყანა მე დამრჩება და მაშინ უყურეთ, რა ავარაკებს გავმართავ! ჰფიქრობდა ნენეს ერთი თვალებ ჩასისხლიანებული მეზობელი. მაგრამ ნენე არა კვდებოდა, ყანის მომარაგება ასულდგმულებდა, აი, ამ დროს შეეჩვია ნენეს ყანას დათვი. ტყის ერთ მივარდნილ ხევში დაბურულ ძეძვნარის ქვეშ ამოეთხარა სორო და იქ ბინადრობდა.

მონადირეები ჯერ ვერ ბედავდენ ამ ბუნაგთან მისვლას. ერთი ორი ბელი კი მოუკლეს, მაგრამ დათვისა მაინც ეშინოდათ.

მთელი დღე გულ-მოსული ეგდო ხოლმე ბანჯგვლიანი თავის სოროში და დილიდან საღამომდის ბურტყუნებდა, ბოხქრობდა, იღრძლებოდა, თათებს ილოკავდა. ასე გატარა დათვმა მთელი ზაფხული, მაგრამ შეჰვიდა თუ არა თვალი ნენეს სიმინდს, იმ წყეულმა სუნი აიღო და ერთ ღამეს სიმინდისაკენ გასწია.

შეირხა, შეშინდა ნენეს სიმინდი. გული გაუსკდა დათვის დანახვით. დათვი კი გაგულებული ჰკბენდა ტაროებს და თან სიამოვნებით ბღუოდა.

მძინარე ტყეს გამოეღვიძა, ამოიოხრა, მხრები შეიბერტყა. რუც ახმაურდა. ფრინველები შეფრთხიალდენ, ხიდან ხეზე გადაჯდენ და შეშინებულები ფოთლებს ამოეფარენ. დათვი-კი ისევ სტორავდა იჭაურობას და როცა კარგად გამოიძღნა, ერთი კიდევ დაიღრიალა და მოსანელებლად ყანაში გორიაობა დაიწყო.

წახდა. განადგურდა ნენეს ყანა, ფერი და ლაზათი დაჰკარგა.

მეორე დღეს ნენემ კვნესით გამოაღო ქოხის კარები, შუბლზე ხელი შემოიდო და თავის საყვარელ ყანას გადახედა. თვალთ დაუბნელდა, მუხლები აუკანკალდა,

— ჩემი ყანა... ჩემი ყანა!.. ლუღლუღებდა დედაბერი და თან გული უწუხდებოდა.

— დათვს გაუოხრებია! მიესმა ამ დროს მეზობლის ხმა ნენეს.

— დათვსა?!.. საიდან გაჩნდა ეგ ოხერი!.. მიშველეთ ხალხო, ჯამაათნო!—დაიკივლა ნენემ, ნაჯახს ხელი წამოავლო და ყანისკენ გაჰქანდა.

— სად მიხვალ, ადამიანო, ხომ არ გაგიჟდი, ან დათვს ნაჯახით როგორ მოჰკლავ? მისძახოდენ აქეთ იქიდან, მაგრამ ნენეს აღარა ესმოდა-რა... დიდიხნის და ბუზღუნი ბოღმა ვარამი, უკანასკნელის წუთებში დაკარგვის მოლოდინში უძლიერესს ცეცხლათ მოედო ნენეს მრავალტანჯულ გულს და [illegible]. ერთად ერთი ყანის მეტი აღარა ჰქონდა-რა და მის შემდეგ სიცოცხლე რაღად უნდოდა?—ნენესაც გაუგია... ნენეც მორბის! დაჰკივის ზევიდან ხალხმა და ხარხარი ასტეხა.

— ცოტა დაგაგვიანდა, დედი! დასცინა ვიღაცამ და წინ გადაეღობა. ნენე მხოლოდ ეხლა მოვიდა გონს, თავის გარემოს შემოავლო თვალი და რა ნახა?... მისი მეზობლები ჩამდგარიყვნენ ყანაში და გულ-აღმა გამოტლ, თავ-გაჩეხილ და ტყვიით დაზვრეტილ დათვს დაჰყურებდენ.

— გამიშვით, გამიშვით, ჩემის ნაამაგარევის ამომაგდებს ერთი მაინც დავკრამ!.. ბრაზ მორევით დაიძახა ნენემ, კატასავით განზე გახტა, მოიმარჯვა ნაჯახი და პირდაღმა მკდებ დათვს დაკრეჭილ კბილებში ჩჰკრა... ხალხი მხიარულობდა. კიჟინობდა—დათვთან ბრძოლის დროს შეშინებულნი ბუჩქებიდან მოიპარებოდენ. ნახევრად გაყმაწვილებული ნენე წაქცეულ სიმინდებს ასწორებდა.

ტყე ტაშს უკრავდა, მზე იცინოდა და ქვიდან ქვაზე თამაშობით მიმდინარე მთის გრძელი ნაკადული მხიარულად მოიმღეროდა.

ი. მარჯანიძე.

შიო მღვიმელი და მისი პოეზია.

(შემდეგი იხ. „სამშობლო“ № 287.)

შიო ობლობას შეეჩვია, ავარებულ სოფლის ბიჭებმა წაიტყუეს. მას ნახავდით ქოშაირებს, მათთან ერთად ჭალაში მოხეტიალეს. ოფოფის ბუდე არ გამოეპარებოდა. ზღაპრები, ცელქობა, თამაში, კოჭაობა, ჩიტის ბარტყების დაჭერა და მათი მოფერება-ალერსი, აი ყველა ის, რაც შემდეგში ლექსების საქსოვ მასალად გამოადგა.

მაგრამ ადამიანი ყოველთვის ბავშვი არ არის: იზრდება, ცხოვრება მოითხოვს ანგარიშს; პატარა შიოს დარჩენა ამ ყოფაში შეუძლებელი იყო. უნდა ახლა მისთვისაც გზა გაეკაფნათ. როგორ? აი აკითხა. მამისგან ძმას ქონება არ დარჩენია რა. უფროსი ძმა თავისთვის ცხოვრობდა. შუათანას კიდევ იმდენი არ შეეძლო რა, რომ დედა და უმცროს ძმას დახმარებოდა. ან რას დაეხმარებოდა, როდესაც იმ დროს დიაკვანი იყო და ეს ხელობა კი, მოგეხსენებათ, ბევრი ვერაფერი სახსარია ცხოვრებაში ლუკმის გასატანად. ამიტომ გადასწყვიტა შიოც დიაკვნად მოემზადებინა შუა მთის მონასტერში. ამ მიზნით სოფლიდან წამოიყვანა 1881 წ., დროებით გორში დატოვა, ხოლო თვითონ მონასტერში გაეშურა, რათა გაეგო—ადგილი იქნებოდა თუ არა. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ.—იქ ადგილი არ აღმოჩნდა და ჩვენი შიოც ასცდა დიაკვნობას. ძმას სურდა ისევ სოფელში წაეყვანა, მაგრამ შიო დავითაშვილმა, ვისთანაც ჩამომხტარნი იყვნენ, აღარ გაუშვა. მათ მოამზადებინეს გორის საოსტატო სემინარიაში; აქ ბევრი თხოვნისა და დავიდარაბის შემდეგ მიიღეს. ოღონდ საძილო ადგილი არ ჰქონდათ: დროებით სამზარეულოში მოათავსეს, ხან კი საავადმყოფოშიც გადაჰყავდათ.

სემინარიაში ყოფნა ფრიად ნაყოფიერი იყო შიოსთვის. ამ დროს აქ სწავლობდა ვაჟა-ფშაველა, მისი ძმები—ბაჩანა და თედო. განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია ვაჟამ, რომლის მკვეთრმა ენამ და ძლიერმა ფანტაზიამ თითქოს ზეშთაგონების ფრთები დაჰპერა შიოს.

ვინ იცის, იქნებ მართლა ბოლომდე ბედი გაღიმებოდა, და შიო ამ სამ ძმას მეოთხე ძმად ამოსდგომოდა გვერდში, რომ მისი მწყალობელი დირექტორი სემიონოვი არ გადაეყვანათ. ახალმოსულმა რეფორმებმა შეიტანა სასწავლებელში, და მრავალ „გაწმენდას“ მოჰყვა თვით შიოს დათხოვნაც.

ბევრი წვალების შემდეგ შიოს სწავლის დათავება ეღირსა მხოლოდ სამოქალაქო სასწავლებელში, 1887 წ. ამ სასწავლებელშივე დაიწყო წერა. მისი ლექსისთვის „ნატვრა“ კინაღამ სკოლიდან დაითხოვეს. თუ ეს არ მოხდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მასწავლებელმა კოტე გვარამაძემ დაიხსნა იგი. მაგრამ ეს როდი იყო მისი პირველი ლექსი. არა, ჯერ კიდევ ბავშვობაში უფრო ნაადრევად ხალხურ ლექსების მიბაძვით „ეთ-მეოს“ კილოზე გორის ბოქაული სამთლიკულოვის მოკვლა აწერა. შინაარსი ამ ლექსისა ნორჩი სულის აღშფოთებაა: დაწერილია სადად, ცოტა არა სკადრისი ფერადებით.

თქმა არ უნდა, ამ ლექსს არავინ დაუბეჭდავდა. დაბეჭდილიდან აღსანიშნავია პირველი, უსათაურო, რომელიც „დროება“-ში ივანე მაჩაბელმა მოათავსა 1885 წ.

დ. კასრაძე.

(დასასრული იქნება.)

შიოს დილა

(შთაბეჭდილება)

„ჩემო ტურფა ქვეყანავ
რაზედ მოგიწყენია,
აწმყო თუ არა გწყალობს
მომავალი ჩვენია;
შვილები წამოგვეზრდნენ
ნაზარდი გულ-მტკიცენი,
მათ სიცოცხლის საგანი
შენ ხარ და შენ იქნები!“

ილია.

ჭეშმარიტად ბედნიერია ის მშობელი, რომელიც 14 თებერვალს შიო მღვიმელის სადღესასწაულო დილას დაესწრო. ეს დღე შიოს დღეობა, შიოს ზეიმი, შიოს პატივსაცემი დილა კი არ იყო არამედ ეს დილა იყო შიოს ყვავილების—ქართველი ბავშვების მხიარული ჟივილ-ხივილის, ანგელოზებრივი ტიტინის, უმანკო სიცელქისის, ღვთიურ ჰანგზე სიმღერის, შეჯიბრება-კამათის. ოხ, ღმერთო ჩემო, რა ბედნიერი ვარ რომ დავესწარი ამ დილას ჩემის ყურით გავიგონე ანგელოსთა გუნდის სიმღერა-ტიტინი, ჩემის თვალით ვიხილე მიწიერი ფრთოსნები, კუდრაჭა გოგონები, ცელქი ბიჭუნები. ზღაპრულ ქვეყანაში მეგონა თავი, არ მინდოდა შეწყვეტილიყო სიმღერა, ტიტინი, ჟღურტული, არ მინდოდა ჩამოშვებულიყო ფარდა და პარნასის ყვავილნარიდან ძირს სინამდვილეში დავბრუნებულიყავი. რა შეედარებოდა იმ სურათის სიმშვენიერეს, როცა პირველი განყოფილება მილოცვა გათავდა და შიოს გას შემოერტყა მისი ყვავილების გუნდი, შემოეხვია ანგელოსთა კრებული და [illegible] შიო შუაში მოექცა. მაგრამ შიოც ანგელოზებრივი ღიმილით, ბავშურ უმანკოებით, შუაში დგას და [illegible] მტრედივით ფართხალებს გული. რა შეედრებოდა ჩარკვიანი მომღერალ ყმაწვილთა გუნდს, რომელსაც ლოტბარობდა მათივე ტოლი [illegible] ყრმა. ყრმა გრძნობდა თავის როლის სიძნელეს გრძნობდა და ფრთხილად იყო. ვერ წარმოიდგენთ რა ოსტატურად, რა გატაცებით, და შეუდარებლად და ამავე დროს მედიდურად იდგა და სარდლობდა გუნდს.

რა მომხიბლავი იყო მათურელის სამი გოგონა—ტრიო, რა ბუნებრივათ ცქრიათ თვალ და მშვენიერად იმღერეს ქართული ხმები: განა დავიწყება ლაფერაშვილის, ხახუტაშვილის და ცოცხაძის პაწიები, რომლებმაც პაწია ხელებით, მაგრამ დიდის ხელოვნებით უკრავდენ როიალზე.

განათლების სკოლის მოსწავლეთ მოგონება და მათ მიერ ნწყობრად ნამღერი „სამშობლო“ ახლაც მიტკბობს ყურს პაწია მიმლოცველები, რომლებიც რითულ ლექსებს ზეპირად ეტიტინებოდენ შიოს და მერე ყელზე ჩამოკიდებულნი ჰკოცნიდენ ძია შიოს. წარმტაცი სურათი იყო და ბევრს ცრემლიც ვერ შეეკავებინა. ყველაფერი კარგა, მომხიბლელი და გულში იმედის აღმძვრელი, იყო, რაიც შეებნოდა ბავშვებს. ოხ, რა კარგი იქნებოდა, რომ ბავშვებს, მათს მიერ სიყვარულ-პატივისცემაში არ შეეცილებოდენ დიდრონები. ბედნიერია შიო, რომ დაიმსახურა ბავშვთა სიყვარული, ბავშვების გული მოუსყიდველია, უმანკოებას მხოლოდ უმანკოების შეყვარება შეუძლიათ, ბავშვთა ბაგით მხოლოდ უმანკოება წარმოითქმის. ბედნიერი ვარ მეც რომ შიოს დილას დავესწარი და „გულს იმედი ჩამესახა“—„მომავალი ხომ ჩვენია“ მეთქი ვსთქვი. (საქ.)

საუბარი სოფლის მასწავლებელთან.

შეხვედრისთანავე მე შევეკითხე სოფლის მასწავლებელს, თუ რად ჩამოსულიყო ამ სამოსწავლო დროს ქალაქში და ესთხოვე, როგორც სოფელში მცხოვრებს, გაეზიარებია თავისი აზრი სოფლის ხალხის აწინდელ მდგომარეობა—სულიერ განწყობილებაზე და უპირველეს საჭიროებებზე. პირველ კითხვაზე მასწავლებელმა მიპასუხა „მე ვერ შევურიგდი სოფელში ისეთ სწავლის ფორმას, რომელიც მცირე წლოვან ბავშვთ გონებას უჩმლავს და მოქმედების უნარს უსპობს. განვიზრახე ჩემს სკოლაში თავისუფლად შემოვიღო, როგორც ამას მავალებდა ჩემი სინდისი და მოითხოვდა საღი პედაგოგიკა, მაგრამ, ნათქვამია, ცხე ყოველთვის შინიდან სტყდებაო და მეც ეს გადამხდა. ბევრს არ მოსწონდა ჩემი ასეთი ქცევა, დირექტორთან დამაბეზღეს. ბ-ნმა დირექტორმა ახლა დამიბარა, ალბათ, „ჯილდო“ უნდა მომცესო“.

სოფლის მასწავლებელმა როდესაც გაიგო, რომ მე გაზეთის თანამშრომელი ვიყავი უფრო ნაღვლიანად განაგრძო: გაზეთებში ამ ბოლო დროს ძლიერ ხშირად იწერება სოფელზე და სოფლის მასწავლებლებზე, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი ცარიელ სიტყვად რჩება. საქმით კი არც სოფლის მასწავლებლებისა და არც სოფლელთა სასარგებლოდ არავის უზრუნავს დღემდი და არც შემდეგში მოველით რისამეს გაკეთებას.

მართალია, ჩვენში ბევრი მოიპოვება უმაღლეს სწავლა მიღებული და დიდი თანამდებობის პირი, რომელთაც უყვართ ხოლმე „პრობლემების“ შექმნა, ბაღში სახლების შენება, მაგრამ როგორც კი თავის პირად ცხოვრებას კარგათ მოაწყობენ, თავისი ელემენტარული მოვალეობა ავიწყდებათ და სოფელი და მისი ჭირ-ვარამი აღარ ახსოვთ. ამ პირებს სოფელზე და სოფლის ხალხზე ისეთი წარმოდგენა აქვთ, მაგალითად, როგორც რომელიმე გამოჩენილ მელექსე პოეტს ბურების ყოფა ცხოვრებაზე ან „ინდოეთის ღამეზე“.

ერთი სიტყვით, ჩვენ არ ვზრუნავთ ჩვენს თავზე და აბა სხვა რისთვის გაიცხელებს თავს.

რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებებში, ქართველი ხალხის და მის რეალურ საჭიროებებზე არავინ ლაპარაკობს. იმ დროს, როდესაც იმპერიის ყველა კუთხის წარმომადგენლებმა ხმა აღიმაღლეს და დღევანდელ უმაგალითო სისხლის ღვრის ომში თავისი მსხვერპლი მრავალ ხაზ გასმით აღნიშნეს და თანაც თამასუქი მოითხოვეს, მხოლოდ ბედ-შავ საქართველოს და მის მცხოვრებთა სახელი არავინ ახსენა. აღსანიშნავი არ არის ის მოვლენა, რომ ბ—მა ჩხენკელმა სოციალისტური მოვალეობის მიხედვით მოიხსენია ბათომ—ყარსის აწიოკებული მცხოვრებნი!

ჩვენი სოფლის მდგომარეობა დღეს მეტად სახიფათო და საშიშია, ასეთი მწარე განსაცდელი ჩვენს სისხლით დაწერილ ისტორიაშიც არ რგუნებია ჩვენს სოფელს.

მუშა ხელს თანდათან ერეკებიან, სოფელი იცლება, ხალხი უკიდურეს გაღატაკებამდი მიდის, ფეხს იკიდებს ძარცვა გლეჯა, ხშირდება სიკვდილი და აგრეთვე განზრახ თავის მოკვლა, მაგრამ ამ დროს ვინ რა ზომას იღებს? რუსეთის მაღალ მინისტრისთვის საქართველო არ არსებობს ან თუ არსებობს არა საქართველოს სახით, არამედ შორეულ კავკასიაში რომელიმე გუბერნიის სახელწოდებით, სადაც მცხოვრებთ არაფერი არ ეჭირვებათ და ან თუ ეჭირვებათ მინისტრს ამისთვის არ სცალია, მისთვის ყოველდღე პირველრიგის თავსატეხ საკითხად არის გადაქცეული პოლონეთი, სომხები, ლატიშები, ფინები და ებრაელნი, მხოლოდ ქართველების სახელი არც ერთ დეკლარაციაში შეტანის ღირსი არ ხდება. და მერე ყველა დარწმუნდეს, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ბრალია.

ჩემისთანა პატარა უსწავლელ კაცისგან არ შეჰფერის ჩვენს ცაში მფრინავ მოღვაწეთ ჭკუის სწავლება, მაგრამ მე მინდა, მაინც ორიოდე სიტყვა ვსთქვა. ჩვენ უმთავრეს საარსებო სხეულს—სოფელს დიდი უბედურება მოელის, როგორც ამას სოფელში ამბობენ: „მოგვადგა კარზე ჟამობაო“. ყველგან სიმშილისგან სიკვდილის პირას მიყვანილ ბავშვებს შეხვდებით.

მე არ მაქვს შეძლება, რომ უფრო ვრცლად დაგისურათოთ სოფლის აწინდელი მწარე სინამდვილე. დღეს დღეობით კი შველის ხმა არსაიდან ჩნდება. არა მე მაინც იმედს არ ვკარგავ და მივმართავ ჩვენი ქვეყნის განათლებულსა და შეგნებულ ნაწილს, რომ მან დაუყონებლივ იღონოს რამე სოფლის ხალხის საშველად ხმა აღიმაღლოს იქ, სადაც ჯერ არს, და თამამად მოითხოვოს დახმარება.

დიახ, მიეშველოს დაბნეულებულსა და დამშეულ ხალხს, თორემ ხვალ, როდესაც ყოველმხრივ გზა ხშირი, მოსალოდნელი უბედურება საზარელ ფაქტათ იქცევა, სინდისი და სინანული ვერაფერს გვიშველის და მოუდგომელ სამსჯავროს წინაშე თავს ვერ გავიმართლებთ“ აქ მასწავლებელმა ლაპარაკი შესწყვიტა, რადგან მე ვიჩქარობდი და მწარე ამოხვრით გამომემშვიდობა.

არ—დი.

სიტყვა.

(წარმოთქმული სტუდენტ პიმენ წულუკიძის დაკრძალვაზე ქ. ქუთაისში კვირას, 14 თებერვალს სტუდენტ ილარიონ [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სისხლის წვიმების დროს, როდესაც მრავალი საუკუნით განმტკიცებული სახელმწიფონი ინგრევიან და ერნი გმირებს მოუხმობენ ქარიშხლის გასამკლავებლად, და ჩვენი მიწა-წყალი ასეთს საშინელ დროს მიტოვებულია მათგან, ვისი ხელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მისთვის, აი ამ დროს ისეთ პატარა, ერისათვის, როგორიც წარმოვადგენთ ჩვენ, ვიმეორებ, სდიდათ საჭირონი არიან ისეთნი პიროვნებანი, რომლებიც წარმოადგენენ განხორციელებას სამშობლოს სიყვარულისას საჭირონი არიან ისეთნი ხალგაზდები, რომლებიც თავისი ერის კეთილ დღეობის სურვილით არიან გამსჭვალულნი და თავისი წვლილი შეაქვთ იმ სალაროში, სადაც იკრიბება და მზადდება საშუალებანი დაჩაგრულებულ ერის გასაკურნავად. აი, ამ ახალგაზდათა შორის მაინც ღირსეული ადგილი გეჭირა, ძვირფასო ამხანაგო პიმენ!

ბატონებო, ერის მომავალი ბედი და კეთილდღეობა დამოკიდებულია იმ ავანგარდზე, რომელიც მას ხელმძღვანელობს. ჩვენ, ახალგაზდებს, ხშირად გვსმენია ამ მოწინავე ხელმძღვანელთაგან რომ ერის მომავალი ახალგაზდობამ უნდა შექმნასო, ჩვენ ხშირად მოგვიწოდებდენ ქართველი იერემიები: იყავით სულით სპეტაკი, ზნეობით მაღალი. გონებით საღი, ყველა ამ თვისებას წინ წაუმძღვარეთ სამშობლოს სიყვარული და ამ უძლეველ თვისებებით აღჭურვილ ადამიანს შეეძლება შეურცხვენლად გაფრიალოს ის დროშა, რომელიც ჩვენ გვიძღვნეს ქართველმა იერემიებმა; და შენც, ჩვენი ოჯახის წევრო, აღჭურვილი იყავ ყველა ამ ზემო ჩამოთვლილ თვისებით და შეთვისებული ჰქონდა უძლიერესი საკაცობრიო იდეალები. მით უფრო სამწუხარო და სავალალოა ჩვენთვის, შენ ამხანაგებთათვის, ისეთი წევრის დაკარგვა, რომლისაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მომავალი ჩვენი მშრომელი ხალხის ცხოვრებაში. უფრო საგრძნობელია ასეთი სიდიდის ელემენტის დაკარგვა იმ დროს, როდესაც ათას გვარი უბედურება კარს გვადგა, სამწუხაროა შენი დაკარგვა, მაგრამ გვამხნევებს ის, რომ იდეამ შენ, შენი ამხანაგების მიერ და საზოგადოთ ქართველ ამხანაგთაგან გაზიარებული პატრუქი თავისას იქმს და სულ სხვა ჰანგზე აამღერებს დღეს ძოძებით შემოსილთ, მტირალ ქართველ დედებს. აი, მაშინ, სხვებთან ერთად, შენც სიყვარულით მოგიგონებენ ქართველი ახალგაზდები. მანამდის კი რა დაგვრჩენია ცრემლისა და ვაების მეტი.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ამხანაგო!

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. ტყემლოვანა (შორაპ. მაზრ.). სოფელი ტყემლოვანა ეკუთვნის ჩხიროულის საზოგადოებას. ამ საზოგადოებას ეკუთვნიან შემდეგი სოფლები: მანდაეთი, მეჩხეთური, სვერი, გეზრული, და ჩხიროული. ამ საზოგადოებაში ს. ტყემლოვანი თითქმის შუაგულ ალაგას არის, სადაც გამართულია სოფლის კანცელარია და ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი.

ამ საზოგადოების შემადგენელი სოფლები იმდენათ დაშორებულები არიან ამ სკოლას, რომ მათი შვილები უგზოობისა და სიშორის გამო ნაკლებათ სარგებლობენ მით. ამ გარემოებამ დააფიქრა შემადგენელ სოფლების მცხოვრებნი და ზოგმა მათგანმა კიდეც დაიარსა საკუთარი ერთ კლასიანი სკოლა.

სოფელი მანდაეთი, რომელიც 200 კომლისაგან შესდგება, ფრიად საჭიროებს ასეთ ერთკლასიან სკოლას, რადგანაც იგი თითქმის 5 ვერსითაა დაშორებული ამ საერთო სკოლას და ნაკლებათაც სარგებლობენ მით. 200 კომლ ოჯახს თავისუფლათ შეუძლიათ შეინახოს ერთი სასწავლებელი, რასაკვირველია, თუ მცხოვრებლები შეამდგომლობას აღძრავენ სათანადო მთავრობის წინაშე და თავის სურვილს გამოსთქვამენ სკოლის დაარსების შესახებ მთავრობა თავისი მხრით ჯეროვან ნივთიერ დახმარებას აღმოუჩენს.

ამ საზოგადოების მოწინავე პირებისა და [illegible] მასწავლებლების თაოს-

ნობით ამ დღეებში გაიხსნა სახალხო სამკითხველო.

ეს პატივცემული პირები, როგორც სჩანს, მხურვალედ შესდგომიან ამ საზოგადოების კულტურულად წინ წაწევის საქმეს და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ახლო მომავალში მათივე თაოსნობით ბევრი კულტურული დაწესებულება აღორძინდება, როგორც კოოპერატიული დუქანი და სხვა ამ გვარი. ამასთანავე ხელს შეუწყობენ სასოფლო გზების და ხიდების გაკეთების საქმეს სოფლის ღელეებზე, რომ მიმოსვლა ერთმანეთ შორის საზოგადოების მცხოვრებთ გაუადვილდესთ. პ.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პარიზი. 13 თებერვალი, ოფიც. ცნობა დღისით. ვერდენის ჩრდილოეთ რაიონში კვლავ მკაცრი ბრძოლა სწარმოებს; მოპირდაპირის მთავარი ცდა მაასის აღმოსავლეთ ნაპირით არის მიმართული. უკანასკნელ ცნობათა მიხედვით ჩვენი ჯარი იმავე პოზიციებით უმკლავდება მოპირდაპირეს, რომლის ზარალი წარმოუდგენელია. დუომონის რაიონში ბრძოლამ საშინლად მკაცრი ხასიათი მიიღო. ვევრის ხაზით, ჩვენი მოწინავე რაზმები, რომელთაც შარშანდელ ბრძოლის დროს წინ წაიწიეს და მოდარაჯეთ იდგენ, ეხლა მთავარ სარდლის ბრძანებით უკან დასწიეს მაასის ნაპირით უბრძოლველად. მაასის ორივე ნაპირით ჩვენი არტილერია განუწყვეტლივ უპასუხებს გერმანელებისას. ბრძოლის პირის დანარჩენ ადგილებზე თვალსაჩინო არა მომხდარა.

პარიზი. 13 თებერვალი. ოფიციალური ცნობა ღამისით. არტუაში კვლავ ნაღმებით ბრძოლაა. აქ ორი ნაღმი ავაფეთქეთ: ერთი ლილის გზის დასავლეთით და მეორე ნევილ-სენ ვაასტთან. უკანასკნელი აფეთქეთ მოპირდაპირის მიერ დაპყრობილ თხრილების შემაერთებელ ჯვარების ქვეშ. შამპანში მოვიგერიეთ მოპირდაპირის იერიში, რომელიც მიმართული იყო სენ-მარის ჩრდილოეთით ჩვენ მიერ დაპყრობილ წინ წამოწეულ თხრილების წინააღმდეგ. ტყვეების საერთო რიცხვი 340, მათში 9 აფიცერი და 31 უნტერ-აფიცერი. ვილ-სიურ-ტურბის ჩრდილოეთით და მონსტიუზის რაიონში ჩვენი არტილერია ყუმბარებს უშენდა მოპირდაპირის სავსე სანგრებს. ვერდენის ჩრდილოეთ რაიონში არტილერიის განუწყვეტელი ბრძოლა სწარმოებდა. მოპირდაპირის იერიშებს ჩვენი ჯარი კონტრიერიშებით უპასუხებს სხვა და სხვა რაიონებში. შენევილის რაიონში და პუავრეს მაღლობზე, სადაც ჩვენ მაგიერი პოზიციები გვიკავია, გერმანელების იერიშები მოვიგერიეთ. მკაცრი ბრძოლა სწარმოებს დუაომონის ფორტის ირგვლივ; ეს ფორტი წინ წაწეულ ნაწილს წარმოადგენს ვერდენის ციხის წინანდელ გამაგრებულ ხაზისას, მოპირდაპირის მიერ დილით დაპყრობილი პოზიცია უკან დავიბრუნეთ და ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. გერმანელები შეეცადნენ ჩვენს უკან დახევას, მაგრამ ამაოდ. სენ-მიელის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა მძიმე არტილერიამ ყუმბარა დაუშინა გერმანელების საწყობებს ვინიოლთან. გერმანელებმა რამდენიმე მძიმე ყუმბარა ესროლეს ლიუნევილის მიმართულებით. დღეს ვერდენის რაიონში მფრინავმა ნავარმა ტყვიის მტყორცნელის სროლით გერმანელების ორი აეროპლანი ჩამოაგდო; ამ რიგად სულ 6 აეროპლანია ჩამოგდებული. აეროპლანები ჩვენ პოზიციებზე ჩამოვარდნენ, ორი მფრინავი მოკლულია, ორიც ტყვედ ჩაგვივარდა. იმავე დღეს ჩვენმა ჰაერში მცურავმა ესკადრამ, რომელიც 9 აეროპლანისაგან შესდგებოდა, 144 ყუმბარა ჩააგდო მეცის სადგურსა და საბლონში. მეორე ესკადრამ ყუმბარა დააყარა შამბელს, პონტამუსონის ჩრდილოეთ-დასავლეთით.

საზღვაოთ სამინისტროს ცნობა. ინგლისის გემი „ფალტენტ"-ი წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ხმელთა შუა ზღვის დასავლეთ ნაწილში. გადარჩენილა ერთი ჩვენი მოდარაჯე გემი. გემის უფროსმა განაცხადა, ჩემის თვალით დავინახე იმავე წყალქვეშა ნავმა შვეციის გემი „ტორნბორტი" ჩასძირა და მისი ნავი თან წაიყვანა.

ჰავრი. 13 თებერვალი. ბელგიელების ცნობა. დღეს არტილერიის ბრძოლამ ჩვენი ბრძოლის პირით მკაცრი ხასიათი მიიღო, მეტადრე დიქსმიუდეს ჩრდილოეთით, ჩვენმა არტილერიამ ყუმბარები ესროლა მოპირდაპირის სავსე სანგრებს მერკემთან.

პარიზი. 14 თებერ. ოფიც. ცნობა დღისით. ვერდენის ჩრდილოეთ ნაწილში წუხელის ჩვენი პოზიციების გამაგრებას განვაგრძობდით. მაასის აღმოსავლეთით, სადაც იერიშები სწარმოებს, ცვლილება არ მომხდარა. იქ დიდი თოვლი მოვიდა. არც დუოტალონის მაღლობთან არც პუავრის მაღლობზე გერმანელებს იერიშები არ დაუპირებიათ. გუშინ საღამოთი გერმანელების მკაცრი იერიში გოდრომონტის ფორტის რაიონში, პუავრის მაღლობის აღმოსავლეთით, მოვიგერიეთ ზარბაზნების და ტყვიისმტყორცნელების სროლით და აგრეთვე კონტრიერიშით მეორე იერიშმა არა ნაკლებ მკაცრმა გოდრომონის ტყის რაიონში, დუომონის აღმოსავლეთით მიზანს ვერ მიაღწია, ვეფრთან ჩვენი მოწინავე რაზმების უკან დახევა, რომელიც ჯარის უფროსების მიერ ნაბრძანები იყო, წესიერად აღსრულდა და მოპირდაპირეს ხელი არ შეუშლია. მდ. მაასის დასავლეთით ქვეითა ჯარის ბრძოლა არ მომხდარა. ვოგეზში, არტილერიის სროლის შემდეგ გერმანელები გუშინ დაღამებისას იერიშს შეეცადნენ ორი კილომეტრის მანძილით სელის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ლაპლენის ველით, მაგრამ სრულიად უნაყოფოდ. ჩვენი არტილერიის სროლამ შტოსვირში საწყობების წინააღმდეგ, სათანადო ნაყოფი მოიტანა.

კოპენჰაგენი, 14 თებერვალი. როტერდამიდან დეპეშით იუწყებიან, გერმანელებს ბელგიიდან ყველა რაზმები დასავლეთ ასპარეზისკენ მიჰყავთ. მარტო ლიეჟიდან იზერის არხისაკენ 10,000 წაიყვანეს.

ლონდონი. 14 თებერვალი. ინგლისის გემი „მალოია" ბომბეიდან მომავალი 57 მგზავრითურთ დუვრთან ნაღმს დაეჯახა და ჩაიძირა.

კუროპატკინის დანიშვნა.

პეტროგრადი. 13 თებერვალი. გენერალ ადიუტანტი კუროპატკინი ჩრდილოეთ ნაწილში მომქმედ ჯარის მთავარ სარდლად დაინიშნა. (ნაცვლად გენერალ პლევესი).

ოსმალეთში.

ბუქ რესტი. 12 თებერვალი. სტამბოლიდან მოსულ ცნობით, ალეპოში მყოფმა ოსმალეთის ჯარის კორპუსმა, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო ეგვიპტის გალაშქრებაში, ეხლა ბრძანება მიიღო დაუყონებლივ არზრუმისაკენ წავიდეს იქ მყოფ ოსმალეთის ჯარის საშველად.

პასუხად.

ქ-ნ „არტისტკა"-ს წერილის გამო.

(იხილე „ზაკავკაზსკაია რეჩი" № 20)

წავიკითხე ქ-ნ „არტისტკა"-ს წერილი სახელწოდებული „Отголоски крѣпотничества" და ნებას ვაძლევ ჩემ თავს, როგორც მკვიდრი მცხოვრები სოფელ საზანოსი და არა ნაკლები გულშემატკივარი „არტისტკა"-ზე, ამა სოფლის კეთილდღეობისა, შევეხო ამ წერილს და აღვნიშნო, თუ რამდენად მართალია იგი და დასაჯერებელი იმაში გამოთქმული აზრები. თავის წერილში „არტისტკა"-ს გმირებათ გამოუყვანია მემამულე იაგორ მდივანი, მღვდელი ნიკოლოზი და სოფლის მწერალი ვ. კროზი და, ვითომც იმ სამ პირს იმდენათ დაუპყრიათ მთელი საზანოს მცხოვრებნი, რომ, რასაც მოისურვებენ—წინააღმდეგობას ვერვინ უბედავს მათ და ხსენებულ სოფლის ბედ-იღბალს ისინი ატრიალებენ.

ვიცით, რომ ზემო იმერეთში არა ერთია კიდევ ჩამორჩენილი სოფელი, ხოლო რაც შეეხება საზანოს, მან კაი ხანია გამოიღვიძა და გადააჭარბა კიდევაც... 1904 და 1905 წლებში, არეულობის დროს, თუ პირველი არა მეორე ადგილი მაინც ეჭირა ამ სოფელს და არა ერთი და ორი აწიოკება გამოსცადა მან და მრავალი საზანოს მკვიდრნი ახალგაზრდანი იმსხვერპლა ამ აწიოკებამ. ნუ თუ საზანოს საზოგადოება, ამ ათი თერთმეტი წლის განმავლობაში იმდენათ გადაჩრდა და გონებრივათ უკან დაიხია, რომ ორ სამ პირს ეყმო და მთელი საზოგადოება მათი ყურმოჭრილი მონა შეიქნა?! ის მდივანი შეგნებული და გამოცდილი მოხუცია და უყვარს მამულისშვილურათ სამშობლო სოფელი საზანო და რაც ძალა და ღონე შესწევს [illegible]ველობას იჩენს ამ სოფლის წინსვლისა და განვითარებისათვის. მოძღვრადაც არავინ ყავს გარდა „არტისტკა"-სი. განა თვით მთელმა საზანოს საზოგადოებამ არ აირჩია ერთხმად ის მდივანი სკოლის მზრუნველადაც და საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარეთაც?! თუ ღირსი არ იყო, რათ აირჩევდნენ?! თუ კი ი. მ-ნი მოწინააღმდეგე პირია საზოგადოებისა და არა მის სასარგებლოთ მოქმედებს, რაღათ ირჩევს იგივე საზოგადოება მას ასეთ საპატიო და პასუხის მგებელ თანამდებობის აღმასრულებლათ!?

რაც შეეხება ბატონ-ყმურ დამონავებას, ჩვენ დროში, თვით ყოფილნი ნაყმევნი აღარ ემონავებიან თავის ნაბატონარს და არა წარმოსადგენია, ერთმა ან ორმა პირმა, 600—700 კომლისგან შემდგარი საზოგადოება იყმოს და დაიმონავოს, ისე, რომ სათითაოთ საზოგადოების წევრმა თავის საკუთარი ოჯახის საქმის მოწესრიგებაც ვერ გაბედოს მათდა დაუკითხავათ, როგორც ქ-ნი „არტისტკა"-ა ბრძანებს!? ქ-ნი „არტისტკა"-ა ეხება აგრეთვე ყოფილ მაზრის უფროსს ოლ-სკის და როგორც სჩანს მისი წერილიდან, სოფლის მწერალ ვ. კ-ს იმდენად დამონავებული ყოლია ხსენებული მაზრის უფროსი, რომ, სადაც მოისურვებდა იქ მიიყვანდა მას და, როგორც უნდოდა, ისე გადააწყვეტინებდა ყველაფერს. ეს კი სრული ცილისწამებაა. მწერალი კროტი თამამად დალაპარაკებასაც ვერ უბედავდა ოლ-სკის, თუ თავის ჭკუაზე ეტარებია იგი. მე ხშირი მოწმე ვყოფილვარ იმისა, რომ, როდესაც კერძო ოჯახში სადილზე მიიწვევდენ მაზრის უფროსს დიდი ნებართვა უნდა აეღოთ მწერალ კროტისთვის, რომ საერთო მასპინძლის სუფრის ბოლოში ისიც დამჯდარიყო. ყველაფერი ითქმის ოლ-სკიზე, მაგრამ რაც შეეხება სკოლებს, სოფლის კანცელარიებს და გზებს ამ მხრივ იგი დიდათ უწყობდა ხელს შორაპნის მაზრას და ყოველი შეგნებული სოფელი ამასვე იტყვის. აიღეთ ზესტაფონის სამოქალაქო სკოლა. თერჯოლის სკოლა და კანცელარია, საქარისა, საზანოსი და სხვა მრავალი.

ქ-ნ „არტისტკა"-ს დიდათ სწყენია, რათ აშენდა საზანოს სკოლა ი. მ-ნის სახლის ახლოსო და ბრალს დებს ოლ-სკის და „სამებას", ე. ი. ი. მ-ნს, მღვდელ ნიკოლოზს და მწერალ კროტს, რომელსაც თვით საზოგადოებამ აირჩია ეს ადგილი სკოლისათვის და შემდეგ მოიწონა ყოველი მხრით სახალხო სკოლების უფროსებმაც და მაზრის უფროსმაც. რაც შეეხება იმას, რომ ვითომც სკოლა იყოს აგებული სოფლის განაპირა ადგილზე და ბავშვებს უხდებათ სიარული ათი ვერსის მანძილიდან ეს ხომ სრული სიცრუეა! ნამეტანი მოკლე ვერსით გაუზომია ქ-ნ „არტისტკა"-ს სოფ. საზანოს სულ 5—6 ვერსიც არ ექნება სიგრძე—სიგანე და თუ მართლაც, სკოლა ცოტაოდენ აცილებულია სოფლის ცენტრს, ეს კი უმთავრესათ გიგიენური მოსაზრებათ მოხდა, რადგან, ვისაც უნახავს საზანოს მაცხოვრის ეკლესიის ეზო, რომელშიაც სკოლაა აგებული, შემკულია ადგილის მდებარეობით, ჰაერით, სიმრთელით და საიდანაც მთელ იმერეთს გადასჩერებიხართ თვით შავი ზღვის პირამდის.

ახლა მკითხავს მკითხველი საზოგადოება თუ რად დასჭირდა „არტისტკა"-ს ზევით ხსენებული მისი წერილი, თუ ამ ჩემს წერილში ყოველივე თქმული მართალია? აი საქმე რაშია: ამ ორი სამი წლის წინათ ქ-ნ „არტისტკა"-ს მეუღლემ შეისყიდა პროვიზორ პავლე გოგოლაშვილისაგან აფთიაქი, რომელიც არის აგებული ამავე სოფელ საზანოში მდინარე ძუსის პირას, სალალფეხო ბოგირის ყურეში, (და არა რკინის ხიდის) სადაც რამოდენიმე სავაჭრო დუქანია (ხსენებულ სკოლაზე დაშორებულია ეს ადგილი ერთ ვერსით) და რასაკვირველია, რომ თვით ქ-ნ „არტისტკა"-ს, მის მეუღლეს, მოიჯარეთ და მათ მახლობელთ, თავისი საკუთარი სარგებლობისთვის სულითა და გულით სწადდათ, რომ სკოლაც, ბანკიც, კანცელარიაც და ამ სოფლის ყველა დაწესებულება, აქვე მათ ახლოს დაარსებულიყო, მაგრამ, როგორც სარწმუნო წყაროდან ვიცი, ბევრიც ეცადენ, ბევრიც დახარჯეს და არა გაუვიდათ რა. ხსენებულ აფთიაქისა და დუქნების მიდამო დაცემული ადგილია მაღლობებით შემოზღუდული და მასთან ვიწრო და [illegible]ლი, ერთი სიტყვით, წარმოადგენს სრუტეს, რომელშიაც სივარგისი ადგილი სამი ოთხი ქცევა თუ მოიძებნება, ისიც მდინარიდან და მაღლობებიდგან ჩასილულ ნატანილი და ერთ მშვენიერ დღეს, ადვილი წარმოსადგენია, მისი მდინარე ძუსა ადიდდეს', გადმოვიდეს ნაპირებიდან და მთლად ერთიანათ წალეკოს დუქნებ აფთიაქი და მათი მიდამო.

რასაკვირველია, ასეთ ვიწრო და სახიფათო სრუტეში არც სკოლის აგებაა ხელსაყრელი, არც კანცელარიის და არც სხვა რამ დაწესებულების და თუ „არტისტკა"-ა გაიძახის თავის პარტია მედუქნეებითურთ, რომ ჩვენი დუქნები და აფთიაქია ცენტრი სოფელ საზანოსი და აქ უნდა იყოს ყოველივე სოფლის დაწესებულებაო—ეს მხოლოდ იმისთვის, რომ მედუქნეებს და აფთიაქსაც ვაჭრობა მოემატება და კერძოთ „არტისტკა"-ც გაერთობა და არ მოიწყენს სხვა და სხვა დაწესებულებების მოხელეების ახლოს. ეს უკვე გადაწყვეტილი აქვს „არტისტკა"-ს, რომ სკოლის დანგრევა აღარ შეიძლება იმ ადგილიდან, სადაც სდგას, მხოლოდ ახლა დიდ ცდაშია და აღარავის ლანძღვა-გინებას და ცილის წამებას არ ერიდება,—ოღონდაც კი კანცელარია და საკრედიტო ამხანაგობა მაინც ჩაიგდოს ხელში და სწორეთ ამისთვის გამოილაშქრა, სრული სიცრუით აღსავსე წერილით, რომელშიაც აღარავინ არ დაზოგა: არც მაზრის უფროსი, არც სკოლების უფროსები, არც წვრილი კრედიტის ინსპეკტორი და არ კერძო პირები და თავის წერილს, ადგილობრივ რომელიმე ქართულ გაზეთში [illegible] კი არ აკადრა!—გაგზავნა [illegible] სულ გაზეთში იმ მოკლე მოსაზრებით [illegible] რასაკვირველია, თვალ[illegible] მთავრობას—თავ[illegible] სრულებლათ. ვეჭვობ, ამგვარი ხრიკ[illegible] ქ-მა „არტისტკა"-მ მიზანს მიაღწიოს. სოფლის საზოგადოებამ უკეთ [illegible] თუ სად უფრო შესაფერისი იქნება ხს[illegible]ბულ დაწესებულებების დაარსება. ამ [illegible]თხვევაში იგი არც „სამებას" დაუჯერებს არც „არტისტკა"-ს და არც მის [illegible]ტია მედუქნეებს. საზანოველი ქ[illegible]

რედაქტორ-გამომც. ი. ციცაძ

რკინის გზის მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	დილის	5 ს.	50
"	საღამ.	6 ს.	57
ბათომიდან	დღისით	1 ს.	25
"	ღამის	2 ს.	23
ფოთიდან	დილის	10 ს.	8
ტყიბულიდან	საღამოს	7 ს.	31
შორაპნიდან	დილის	9 ს.	18

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	დილის	11 ს.	55
"	ღამის	1 ს.	7
ბათომისაკენ	დღისით	5 ს.	30
"	დილის	4 ს.	27
ფოთისკენ	დღისით	4 ს.	27
ტყიბულისკენ	დილის	6 ს.	20
შორაპნისაკენ	დღით.	5 ს.	—

ქუთაისის განყოფილება
ამხ.-ბა „პროვოდნიკი".
გვაქვს საწყობში გასასყიდათ დამზადებული დიდძალი
კალოშები საზაფხულო და საზამთრო ყველა არტიკული სასრულის ამორჩევით.
საეტლო შინები საერთაშორისო მარკები „სლონ" და „სვერხ-სლონ"
და აგრეთვე სხვადასხვა საქონელი საკუთარი ნაწარმოებისა. 30—

ქუთაისი.
ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში
(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი).
მილოჯულია ვენახის ასაპრავი საუკ
ქ ი ლ ი. იქვე იყიდება ყოველგვარი საბაკალეიო საქონელი. ფასები ყველაფერზე ზომიერია.

სიფილისი.
ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. დე ვეზის პრეპარატის საშუალებით.
სიფილისის მოსარჩენათ ხმარებული საშუალებების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ. სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, ზხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარ შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.
პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.
პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს
პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გუმსა და შხამს, რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების მხედველობის და სმენის სისუსტეს.
პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხერხემლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს.
სიფარშივის თავიდან ასაცდენათ პრეპარატი ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში ა. ნ. შავიშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.
გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.
ფასი ერთი კოლოფისა 5 მან. წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.
პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ. (წლიური)

[illegible] სტამბა [illegible] ქუთაისში